MES 3 21 0000652859

30/06/2021

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 16.06.2021**
**სხდომის დაწყების დრო: 14:20 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 19:15 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე- ჯიშკარიანი ( I, II, III, IV)**
**სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე (V,VI)**
**საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (V, VI)**
**სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (I, II, III, IV)**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენეჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ელიზბარელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

7. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **დავითკაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
9. **დიანამჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ეკატერინენაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
13. **თეონამატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:**

1. **გიორგი ჩილინგარაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი,ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი,დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი,ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;
4. **ნინო ოკრიბაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
5. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძარვანელი,ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ბიძინა კულუმბეგოვი** - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის"მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
8. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
9. **მარინე გელანტია** - შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

10. **მაია ზალდასტანიშვილი** - სს "ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო- პრაქტიკული ცენტრის" ინფექციური სავადმყოფოს მიმღები განყოფილების უფროსი,ექიმი ინფექციონისტი;

11. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

12. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;

13. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,სრული პროფესორი;

14. **გივი ჯავაშვილი** - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,პროფესორი;

15. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების,შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი,სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

16. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

17. **შორენა წიკლაური** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"ასისტენტ პროფესორი,ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;

18. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში.

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1. | ქრისტინე აბულაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2. | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 3. | ანა ლელაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 4. | ლაშა მაჭარაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 5. | თორნიკე ბაქაქური | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ირაკლი კოხრეიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ვიცე-რექტორი | **I,** II, III, IV |
| 2. | სოფიო ბახტაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ვიცე-რექტორი | **I,** II, III, IV |
| 3. | ირინე კვაჭაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | **I,** II, III, IV |
| 4. | თინათინ ჩიქოვანი | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი | **I,** II, III, IV |
| 5. | ნინო მარიამიძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი | **I,** II, III, IV |
| 6. | დავით თოფურია | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | დეკანი, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი | **I,** II, III, IV |
| 7. | პირდარა ნოზაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი | **I,** II, III, IV |
| 8. | რუსუდან რუხაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | დეკანი, დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი | **I,** II, III, IV |
| 9. | ეკა ეკალაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი | **I,** II, III, IV |
| 10. | ნინო ტალიაშვილი | შპს ევროპის უნივერსიტეტი | რექტორი | V |
| 11. | სოფიო ხუნდაძე | შპს ევროპის უნივერსიტეტი | ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით | V |
| 12. | ნათია ჯოჯუა | შპს ევროპის უნივერსიტეტი | მედიცინის ფაკულტეტის დეკანი | V |
| 13. | თინათინ გოგნაძე | შპს ევროპის უნივერსიტეტი | მედიცნის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი | V |
| 14. | ანა გვრიტიშვილი | შპს ევროპის უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | V |
| 15. | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | VI |
| 16. | ლევან მიდოდაშვილ | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | VI |
| 17. | ლაურა ელიაური | | | VI |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | |
| 18. | ბიძინა მიდოდაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი | VI |
| 19. | ციური დურული | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | VI |

**აკრედიტაციის ექპერტები:**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | მიშელ მაკლინი | (ჩაერთო „ზუმით“) | I, II |
| 2 | ნინო ჩიხლაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I, II |
| 3 | ჯილდა ჭეიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I, II,III, IV |
| 4 | ცოტნე სამადაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | I, II |
| 5 | ლანა ბოკუჩავა | (ჩაერთო „ზუმით“) | I, II, V |
| 6 | დინ პარმელე | (ჩაერთო „ზუმით“) | III, IV |
| 7 | ირინე ფხაკაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III, IV |
| 8 | მარინე თოიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III, IV |
| 9 | ელენე ხურციძე | (ჩაერთო „ზუმით“) | III, IV |
| 10 | მარგუს ვიიგიმაა | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 11 | ქეთევან კანკავა | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 12 | ეკა აბჟანდაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | V |
| 13 | გიორგი დათუკაშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | VI |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:20 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა. მან განმარტა რომ აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრებიდან 4-ს აცილება ჰქონდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებზე, შესაბამისად რადგან მოწვეული საბჭოს ერთ-ერთ წევრს ქ-ტონ ნათია სხვიტარიძეს სხდომა უნდა დაეტოვებინა 17:30 სთ-ზე, მიზანშეწონილი იქნებოდა სხდომა დაწყებულიყო სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების განხილვით.

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 07.08.2015 გადაწყვეტილება N 122 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 -მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თსსუ, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, 0177 (0186), თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ, ხათუნა თოდაძემ, ლევან რატიანმა, ივანე ჩხაიძემ, გივი ჯავაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მხოლოდ ორმა წევრმა (თავმჯდომარემ და ერთმა წევრმა) ვერ შეძლო პირადად დაწესებულების მონახულება, თუმცა ,,დაესწრნენ" ზუმის

საშუალებით. პირველ დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა პათოლოგიის ობიექტები და კლინიკური უნარების ცენტრები, ასევე სამი სამედიცინო დაწესებულება, სადაც სტუდენტები სწავლობენ. მეორე დღეს დაიწყო ინტერვიუები თსსუ-ს ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ყველა სამედიცინო პროგრამაში. დღის დანარჩენი ნაწილი დაეთმო ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს რუსულენოვანი პროგრამიდან.
ინგლისურენოვანი პროგრამა უმეტესწილად შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს. არსებობს საკითხები, რომლებსაც ყურადღება სჭირდება, მაგალითად, დაშვების კრიტერიუმების ცვლილება პირველი წლიდან მეორე წლამდე გადინების შემცირების და შეფასების, სილაბუსების დოკუმენტაციის და ხარისხის საერთაშორისო დონესთან შესაბამისობის (მაგ; შესაბამისი არჩევითი საგნების საშუალებით) მიმართ მეტი თანმიმდევრულობის მიზნით. მიუხედავად ამისა, ეს გრძელვადიანი ცვლილებებია და არ არის საჭირო მისი განხილვა ამ აკრედიტაციისთვის.
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:**

1. საერთო დოკუმენტი, რომელიც ემსახურება საგანმანათლებლო მიდგომებისა და შეფასების ტიპების ტერმინოლოგიას, ისე, რომ სტუდენტებსა და თანამშრომლებს ურთიერთგაგებისა და მოლოდინების მხრივ ერთიანი ხედვა ჰქონდეთ. კარგი იქნება, თუ ამის ჩვენება მოხდება წლების მიხედვით, შეფასების ცვლილებასთან ერთად, რომელიც მოიცავს ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას, სამუშაო ადგილზე შეფასებას (WBA) და ა.შ.;
2. დაშვების უფრო მკაფიო მოთხოვნები. გარდა ამისა, გადინების შესამცირებლად, ალბათ, ინგლისური ენის უკეთესი ცოდნის უზრუნველყოფა (წერა, მოსმენა, საუბარი) არსებობს საგულისხმო გადინება პირველი კურსიდან მეორე კურსზე გადასვლის დროს;
3. სილაბუსების შაბლონი, თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტის განმარტებით, ოთხი ერთსაფეხურიანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა სხვადასხვა შრომის ბაზრისთვისაა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს დაახლოებით 80-85% გადაფარვა ან იგივეობა, დარჩენილი 15-20% უნდა იყოს მორგებული კონკრეტულ შრომის ბაზარზე. ამის გაკეთება შესაძლებელია არჩევითი საგნების საშუალებით. სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს უნდა შეეძლოთ შეარჩიონ არჩევითი საგნები, რომლებიც მოიცავს სამედიცინო პრაქტიკასთან დაკავშირებულ თემებს მათ მშობლიურ ქვეყანაში თუ გლობალურად. არსებობს პარაზიტოლოგიის არჩევითი საგანი, რომელიც მიზანშეწონილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის აზიისა და აფრიკის დაბალი/საშუალო შემოსავლის ქვეყნებში. ტროპიკული მედიცინა ორჯერ იქნა ნახსენები, როგორც ისეთი რამ, რაც აქტუალური

იქნებოდა ინდოელი და შრი-ლანკელი სტუდენტებისათვის. სხვა არჩევითი საგანი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საკუთარ ქვეყანაში

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და საბჭოს წევრებს ჩატარებული სამუშაოსა და შეფასებისთვის.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რჩევებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ინფექციური დაავადებების სილაბუსი მთლიანად მოიცავდა ყველა აუცილებელ საკითხს. თუმცა აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ სტუდენტები 60-ზე მეტი ქვეყნიდან. გარდა იმისა, რომ პედაგოგს მოეთხოვა ტროპიკული დაავადებების საკითხებთან დაკავშირებით ყურადღების გამახვილება, სტუდენტებს სურვილისამებრ მე-11 და მე-12 სემესტრი განმავლობაში უტარდებათ ტრენინგი იმ სავარაუდო საკითხებზე რაც შესაძლებელია შეხვდეთ მოცემულ ქვეყნებში რეზიდენტურაში ჩაბარებისას. შრი ლანკის მაგალითზე, დაწესებლება იწვევს ექსპერტებს, რათა მოხდეს საკითხების სიღრმისეული განხილვა, გადამზადება და მომზადება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

მოწვეული საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააზუსტა თუ როგორ არის ინტეგრირებული სასწავლო კურსები და მოდულები. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ სწავლების რომელი მეთოდები იქნება გამოყენებული უპირატესად და რომელ ეტაპზე დაწესებულების მიერ.

მოწვეული საბჭოს წევრმა, შორენა წიკლაურმა დააზუსტა თუ რა დაშვების წინაპირობების არის გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში უცხოელი სტუდენტებისთვის და ასევე როგორ ხდება სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგების შესაბამისობა.

საბჭოს წევრმა ბიძინა კულუმბეგოვმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ განხორციელდა პროგრამის მოდიფიკაცია კოვიდ პანდემის დროს.

მოწვეული საბჭოს წევრმა დავით კობეშავიძემ დააზუსტა თუ რა მექანიზმებითა და ხარისხით არის უზრუნველყოფილი მოცემული პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამა სრულად არის ინტეგრირებული, რაც იწყება პირველივე სემესტრიდან. მაგალითად როცა სტუდენტების გადიან სახსროვან აპარატს, მათ შეუძლიათ ასევე ექოსკოპიური სურათებიც განიხილონ. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება PBL-ის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ასევე შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBL, CBCR) დისკუსიები, როლური თამაშები, პროექტები და პრეზენტაციები. მნიშვნელოვანა ასევე, რომ სტუდენტები მონაწილეობას ირებენ სამეცნიერო კვლევებსა და სამუშაო პრაქტიკებში.

რაც შეეხებ სტუდენტების დაშვების წინაპირობას, დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ - მუხლი 52. პუნქტი 3. კერძოდ: აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების

ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები, პროცედურები და შეფასების წესი გამჭვირვალეა და სამართლიანი, თსსუ-ის მიერ უზრუნველყოფილია ინფორმაციის სრული ხელმისაწვდომობა სტუდენტებისთვის და მათი მშობლებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან, სოციალურ ქსელში უნივერსიტეტის გვერდზე, თსსუ-ის მიერ სისტემატიური მონაწილეობით საგანმანათლებლო პროგრამების ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში, ღია კარის დღეების და სხვა საორიენტაციო შეხვედების მოწყობით, ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით, მათ შორის პირადი კონსულტაციების სახით, მასმედიის საშუალებების გამოყენებით, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებით. ჩარიცხავმე სტუდენტებთან ხდება ინდივიდუალური გასაუბრება, გამოცდაზე ბარიერ გადალახული სტუდენტებთან. მოცემული ინტერვიუ იწერება და ითვირთება საიტზე, რითაც მოწმდება სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია. მოცემული პროცედურების შემდგომ კი ხდება სტუდენტის მიღება პროგრამაზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კოვიდ პანდემიასთან მიმართებით დიდი პრობლემა შეიქმნა იმ კუთხით, რომ სტუდენტების დიდმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა და შემგომ ვეღარ შეძლო დაბრუნება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტორ დახმარებით, შეიქმან სპეციალური პლატფორმა, რის საშუალებითაც ხდებოდა სტუდენტებთან დაკავშირება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა სრულად გაიღო ხარჯების სტუდენტთა საქართველოში ჩამოსაყვანად. ასევე ორგანიზებული იქნა ჩარტერული რეისები. რაც შეეხება სწავლების ფორმატს, მხოლოდ ნაწილის იყო ონლაინ, ძირითადი სწავლება მიმდინარეობდა ფიზიკური დასწრებით. სტუდენტებისთვის მოხდა ჯგუფების გაყოფა, სადაც თითოეულ ჯგუფშ იიყო არა უმეტეს 13 სტუდენტისა. ხოლო კლინიკის ფარგლებში კიდე ხდება ჯგფების გაყოფა, რათა მეცადინეობები წარმართულიყო რეგულაციების მაქსიმალური დაცვით. იმ სტუდენტებისთვის, რომლებაც ვერ მოახერხეს ქვეყანაში დაბრუნება შეთავაზებული იყო გარკვეული ონლაინს კურსები.

მნიშვნელოვანია, რომ თსსუ-ის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო ინგლისურენოვანი პროგრამის სასწავლო, კლინიკური და კვლევითი აქტივობები ხორციელდება შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში: თსსუ-ის პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სასწავლო კორპუსები, თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა; თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა და მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, ინგოროყვას საუნივერსიტეტო კლინიკა.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვმა დააზუსტა თუ როგორ არის ინტეგრირებული კვლევითი ნაწილი პროგრამაში და რამდენ კრედიტს მოიცავს აღნიშნული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამეცნიერო უნარ-ჩვევები მოიცავს 10 კრედიტს და გათვალისწინებულია პროგრამაში. მე-3 სემესტრის ძირითად სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია ,,სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“, რომელიც მოიცავს 3 კრედიტს. მოცემული კურსის ფარგლებში, სტუდენტები დეტალურად შეისწავლიან ყველა იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც სჭირდება სტუდენტს სამეცნერო კვლევითი აქტივობის განხორციელებისთვის. აღნიშნული კი სრულიად საკმარისია სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კოვიდთან დაკავშირებით შეიქმნა ინტეგრირებული მოდული, რომელიშიც მონაწილეობდნენ საოჯახო მედიცინის წარმომადგენლები, თერაპევტები, ინფექციონისტები და ეპიდმოლოგები.აღნიშნული მოდული გაიარეს კლინიკურ ეტაპზე მყოფმა სტუდენტებმა.

რაც შეეხება პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, უნივერსიტეტის ფინასური მდგრადობა არ იწვევს ეჭვს. ინსტიტუციას აქვს მრავალმხრივი და დივერსიფიცირებული ბიუჯეტი. მოცემული პროგრამის მიმართ არის განსაკუთრებული ნდობა. პანდემიის პირობებში აღნიშნულმა პროგრამა სრულიად შეინარჩუნა ფინანსური მდგრადობა. წლიდან წლამდე პროგრამაზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. ბიუჯეტის 12% პროცენტი უზრუნველყოფს პროგრამის პირდაპირ ხარჯებს, რაც გულისხმობს, ხელფასსებსა და საქონელ-მომსახურებას, რაც პროგრამისთვის არის აუცილებლი.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ 2.4 კომპონენტში წარმოდგენილი არის სამი რჩევა და მოცემულია, რომ არ არის 100%-ით გასაგები თუ როგორ ჩაერთვნენ სტუდენტები კვლევებში, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებსა საკითხის განმარტებისკენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მე-3 სემესტრში სტუდენტების გადიან თეორიულ ცოდნას სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით. უკვე შემდგომ კურსებში, თეორიული ცოდნით აღჭურვილი სტუდენტები, კლინიკური კურაციების პერიოდში ავტომატურად ერთვებიან სამეცნიერო საქმიანობაში. შესაბამისად, მოცემული კომპონენტი სრულად გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამაში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:10**
**დასრულების დრო: 15:20**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული **რჩევები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- სასურველია მეტი ორიენტირება სტუდენტებზე და შესწავლის პროცესზე, ნაცვლად პედაგოგებისა და სწავლების პროცესისა.
- გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნების გამოყენება კურიკულუმის შედგენაში, რათა ყველა კურსდამთავრებული იყოს მზად იმ სოციალურ და გარემოსთან დაკავშრებულ გამოწვევებზე სამუშაოდ, რომელთაც კაცობრიობა უპირისპირდება.
- სტუდენტების წახალისება, რათა მეტად იკისრონ საპასუხისმგებლო როლები საზოგადოებაში, როგორიცაა შშმ პირების ოჯახების, სკოლების, მოხუცთა სახლების მონახულება და მზრუნველობის პროცესში ჩართულობა. ასევე, 1-ლი და მეორე წლის სტუდენტებმა შესაძლებელია დახმარება გაუწიონ პაციენტებს საუნივერსიტეტო კლინიკებში, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა ელოდებიან დიაგნოზს ანდა დაგეგმილია ოპერაცია.
- შესაძლოა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის საგამოცდო ზღვარის 60%-მდე გაზრდა და ინგლისური ენის ცოდნის უკეთესი შეფასება (წერა, მოსმენა, საუბარიდა ა.შ.). ეს შეიძლება დაეხმაროს პირველი და მეორე კურსიდან მნიშვნელოვან გადინების მაჩვენებლის გაუმჯობესებას. თუ სავალდებულო არ არის ცალკეული საგნების არსებობა, როგორებიცაა ქიმია და ფიზიკა, უმჯობესია შესაბამის მოდულებში შევიდეს ქიმიისა და ფიზიკის რელევანტური თემები. ეს შეამცირებს გამოცდების რაოდენობას, რომლებიც უნდა ჩააბარონ სტუდენტებმა და ხელს შეუწყობს ინტეგრაციას. ბიოქიმიამ უნდა განსაზღვროს, რა არის საჭირო ქიმიაში. ფიზიკა ხშირად კავშირშია ფიზიოლოგიასთან;
- სტრუქტურასა და ფუნქციას შორის უკეთესი ინტეგრაცია ადრეულ ეტაპზე. შესაძლებელია დამატებითი ინტეგრაცია, არა მხოლოდ ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურადაც. ჰორიზონტალური ინტეგრაცია იქნება სტრუქტურირებული და იფუნქციონირებს, როგორც ანატომია ფიზიოლოგიასთან, ბიოქიმიასთან და ა.შ. სტრუქტურა და ფუნქცია კლინიკურ პროგრამებთან ერთად სწავლებას უფრო

შინაარსობრივს და აქტუალურს ხდის სტუდენტებისათვის. ეს შეიძლება მოგვარდეს ახალი "პრობლემაზე ორიენტირებული" სასწავლო გეგმით, რომელიც ამოქმედდება 2021 წლის სექტემბერში. ამით უნდა განისაზღვროს ძირითადი შინაარსი (საჭიროა იცოდეთ) და დამატებითი შინაარსი (სასურველია იცოდეთ). ძირითადი შინაარსი საჭიროებს მუდმივ განახლებას, რადგან ინფორმაცია მუშავდება ყოველ საათში. ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ განათლება შინაარსზე იყოს ორიენტირებული, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი, რომ გაიგონ, რაც არ იციან, უნდა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია და მიიღონ გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა ეს ინფრომაცია მათ საჭიროებებს;

- საჭიროა უფრო მეტი არჩევითი საგანი მრავალფეროვანი საერთაშორისო სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- სასურველია მეტი აქცენტი ტრანსფერულ უნარებზე;
- სასურველია ნათლად ჩანდეს კვლევაში ჩართვის შესაძლებლობები;
- შეიმუშავეთ ერთი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა სწავლა/სწავლების მიდგომები და მათი განმარტებები, მაგ : ლექცია, პრაქტიკული, არჩევითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. ამგვარად, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთო ხედვა და მოლოდინები ექნებათ;

(2.6. ქვეკომპონენტში გაცემული რჩევები რამდენიმე მცირე რჩევად ჩამოყალიბდა, სრული ტექსტი დასკვნაშია ხელმისაწვდომი):

- სასურველია შეფასებების შემცირება, სადაც ეს შესაძლებელია;
- ლონგიტუდინალური, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება, რომელშიც აკუმულირდება სტუდენტთა გამოცდილება წლების მანძილზე;
- OSCE უნდა იყოს გამოყენებული კომპეტენციების და არა უნარების შესაფასებლად;
- ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება შეფასების საშუალებები;
- სასურველია ფაკულტეტზე შეფასებაზე პასუხისმგებელი ერთეულის შექმნა;
- პირველიდან მეორე კურსზე სტუდენტთა გადინების მაჩვენებლის შემცირება, რათა სამომავლოდ გაიზარდოს მდგრადობა;
- პროგრამის მონიტორინგსა და გაუმჯობესებაში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) ჩართულობის შემდგომი გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენას სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**მეორე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 06.09.2012 გადაწყვეტილება N 355 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 -მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | რუსული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თსსუ, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, 0177 (0186), თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ, ხათუნა თოდაძემ, ლევან რატიანმა, ივანე ჩხაიძემ, გივი ჯავაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ორმა წევრმა (თავმჯდომარემ და ერთმა წევრმა) ვერ შეძლო პირადად დაწესებულების მონახულება, მაგრამ ,,დაესწრნენ" ზუმის საშუალებით. პირველ დღეს, ექსპერტთა გუნდმა მოინახულა პათოლოგიის ობიექტები და კლინიკური უნარების ცენტრები, ასევე სამი სამედიცინო დაწესებულება, სადაც სტუდენტები სწავლობენ. მეორე დღეს დაიწყო ინტერვიუები თსსუ-ს ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ყველა სამედიცინო პროგრამაში. დღის დანარჩენი ნაწილი დაეთმო ინგლისური პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და რუსული პროგრამის ზოგიერთ აკადემიურ პერსონალს. რუსულენოვანი პროგრამის დანარჩენი ინტერვიუები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელობით) შედგა მესამე დღეს. მე–3 დღე დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარი მიგნებების წარდგენით. აღსანიშნავია, რომ რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის თითქმის იდენტურია.
რუსულენოვანი პროგრამა უმეტესწილად შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს. არსებობს საკითხები, რომლებსაც ყურადღება სჭირდება, მაგალითად, დაშვების კრიტერიუმების ცვლილება პირველი წლიდან მეორე წლამდე გადინების შემცირების და შეფასების, სილაბუსების დოკუმენტაციის და ხარისხის საერთაშორისო დონესთან შესაბამისობის მიმართ მეტი თანმიმდევრულობის მიზნით. მიუხედავად ამისა, ეს გრძელვადიანი ცვლილებებია და არ არის საჭირო მისი განხილვა ამ აკრედიტაციისთვის.
იმის მიუხედავად, რომ სტუდენტების არიან რუსეთიდან ისინი ფლობენ ქართულ ენას და მუშაობენ საქართველოში, მხოლოდ ერთ სტუდენტს ჰქონდა სურვილი მუშაობა გაეგრძელებინა სხვა ქვეყანაში.
მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში არის საკმარისი კლინიკური განაწილების ადგილები და შესაძლებლობები კლინიკური სტუდენტებისათვის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. ის ფაქტი, რომ თსსუ-ს აქვს საკუთარი საავადმყოფოები, ძალიან კარგია. კლინიკური სტუდენტებისათვის ადგილზე არსებოს საგანმანათლებლო ობიექტები, პირადი სივრცე და საშუალებები. ბიბლიოთეკა მდიდარია რესურსებით და დაკავშირებულია სწავლის მართვის სისტემასთან.
დაწესებულებას ჰყავს მოტივირებული, ენთუზიაზმით სავსე და შრომისმოყვარე აკადემიური პერსონალი, რომელიც გულწრფელად იყო დაინტერესებული სტუდენტებით, როგორც აკადემიური, ასევე პირადი თვალსაზრისით. სტუდენტებმა დაკურსდამთავრებულებმა აღნიშნეს დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით თოფურია, როგორც მენტორი, რომელიც საკმარისზე მეტს აკეთებდა ინდივიდუალურად ყველა სტუდენტისთვის და ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო.
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის. მოცემული პროგრამა იდენტურია ინგლისუენოვანი პროგრამისა, განსხვავება მხოლოდ სწავლების ენაშია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:35**
**დასრულების დრო: 15:40**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული **რჩევები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- სასურველია მეტი ორიენტირება სტუდენტებზე და შესწავლის პროცესზე, ნაცვლად პედაგოგებისა და სწავლების პროცესისა.
- გაეროს მდგრადი განვითარების 2030 წლის მიზნების გამოყენება კურიკულუმის შედგენაში, რათა ყველა კურსდამთავრებული იყოს მზად იმ სოციალურ და გარემოსთან დაკავშრებულ გამოწვევებზე სამუშაოდ, რომელთაც კაცობრიობა უპირისპირდება.
- სტუდენტების წახალისება, რათა მეტად იკისრონ საპასუხისმგებლო როლები საზოგადოებაში, როგორიცაა შშმ პირების ოჯახების, სკოლების, მოხუცთა სახლების მონახულება და მზრუნველობის პროცესში ჩართულობა. ასევე, 1-ლი და მეორე წლის სტუდენტებმა შესაძლებელია დახმარება გაუწიონ პაციენტებს საუნივერსიტეტო კლინიკებში, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, როცა ელოდებიან დიაგნოზს ანდა დაგეგმილია ოპერაცია;
- შესაძლოა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სტანდარტის 60%-მდე გაზრდა + ინგლისური ენის ცოდნის უკეთესი შეფასება (წერა, მოსმენა, საუბარიდა ა.შ.). ეს შეიძლება დაგეხმაროთ პირველი და მეორე კურსიდან მნიშვნელოვან გადინებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების განმივიღეთ განსხვავებული პასუხები. თუმცა ყველა თანხმდება, რომ ქიმია რთულია. თუ სავალდებულო არ არის გქონდეთ ცალკეული საგნები, როგორებიცაა ქიმია და ფიზიკა, უმჯობესია შესაბამის მოდულებში შევიდეს ქიმიისა და ფიზიკის რელევანტური თემები. ეს შეამცირებს გამოცდების რაოდენობას, რომლებიც უნდა ჩააბარონ სტუდენტებმა, და ხელს შეუწყობს ინტეგრაციას. ბიოქიმიამ უნდა განსაზღვროს, რა არის საჭირო ქიმიაში. ფიზიკა ხშირად კავშირშია ფიზიოლოგიასთან;
- სტრუქტურასა და ფუნქციას შორის უკეთესი ინტეგრაცია ადრეულ ეტაპზე. შესაძლებელია დამატებითი ინტეგრაცია, არა მხოლოდ ჰორიზონტალურად, არამედ ვერტიკალურადაც. ჰორიზონტალური ინტეგრაცია იქნება სტრუქტურირებული და იფუნქციონირებს, როგორც ანატომია ფიზიოლოგიასთან, ბიოქიმიასთან და ა.შ.

სტრუქტურა და ფუნქცია კლინიკურ პროგრამებთან ერთად სწავლებას უფრო შინაარსობრივს და აქტუალურს ხდის სტუდენტებისათვის. ეს შეიძლება მოგვარდეს ახალი "პრობლემაზე ორიენტირებული" სასწავლო გეგმით, რომელიც ამოქმედდება 2021 წლის სექტემბერში. ამით უნდა განისაზღვროს ძირითადი შინაარსი (საჭიროა იცოდეთ) და დამატებითი შინაარსი (სასურველია იცოდეთ). ძირითადი შინაარსი საჭიროებს მუდმივ განახლებას, რადგან ინფორმაცია მუშავდება ყოველ საათში. ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ განათლება შინაარსზე იყოს ორიენტირებული, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ უნარი, რომ გაიგონ, რაც არ იციან, უნდა მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია და მიიღონ გადაწყვეტილება, შეესაბამება თუ არა ეს ინფრომაცია მათ საჭიროებებს;

- სხვადასხვა საგნების სილაბუსების სტანდარტიზაცია. ამჟამად, დოკუმენტები სხვადასხვა ფორმატშია;

- სასურველია მეტი აქცენტი ტრანსფერულ უნარებზე;
- სასურველია ნათლად ჩანდეს კვლევაში ჩართვის შესაძლებლობები;
- შეიმუშავეთ ერთი დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა სწავლა/სწავლების მიდგომები და მათი განმარტებები, მაგ: ლექცია, პრაქტიკული, არჩევითი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ. ამგვარად, აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთო ხედვა და მოლოდინები ექნებათ.

(2.6 ქვეკომპონენტში გაცემული რჩევები რამდენიმე მცირე რჩევად ჩამოყალიბდა, სრული ტექსტი დასკვნაშია ხელმისაწვდომი):

- სასურველია შეფასებების შემცირება, სადაც ეს შესაძლებელია;
- ლონგიტუდინალური, ელექტრონული პორტფოლიოს გამოყენება, რომელშიც აკუმულირდება სტუდენტთა გამოცდილება წლების მანძილზე;
- OSCE უნდა იყოს გამოყენებული კომპეტენციების და არა უნარების შესაფასებლად;
- ერთიანი დოკუმენტის შემუშავება, სადაც აღწერილი იქნება შეფასების საშუალებები;
- სასურველია ფაკულტეტზე შეფასებაზე პასუხისმგებელი ერთეულის შექმნა;
- პროგრამის მონიტორინგსა და გაუმჯობესებაში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) ჩართულობის შემდგომი გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" რუსულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**მესამე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 21.10.2011 გადაწყვეტილება N 121 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 -მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თსსუ, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, 0177 (0186), თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ, ხათუნა თოდაძემ, ლევან რატიანმა, ივანე ჩხაიძემ, გივი ჯავაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2021 წლის 20, 21, 22 აპრილს. ჯგუფის ოთხი წევრი იმყოფებოდა ქვეყანაში, ერთი კი (თავმჯდომარე) მონაწილეობდა ვირტუალურად. სამი დღის განმავლობაში მოხდა თსსუ-ს ორი სამედიცინო სკოლის მიმოხილვა და დაწესებულებაში ვიზიტის განახორციელება ერთი და იმავე ჯგუფის მიერ. ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც მართავს ამ ორ სკოლას, ასევე პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებთან, რომლებსაც იზიარებენ ეს სკოლები. გამოიკითხა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, რომელიც ზედამხედველობს ორ სამედიცინო სკოლას, რასაც მოჰყვა ინტერვიუები თითოეული სკოლის შესაბამის თვითშეფასების გუნდთან. პირველ დღეს, ასევე, ჩატარდა გასაუბრები პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან ცალცალკე. თბილისში მყოფ ჯგუფის ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მისულიყვნენ დაწესებულებებში, რომლებიც სკოლებს ემსახურებიან. ყურადღება გამახვილდა შეხვედრებზე, რომლებიც ჩატარდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისა და ქართული პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლების წარმომადგენლებთან.
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რჩევა გასათვალისწინებელია.
დაწესება სრულიად ეთანხმება ექსპერტთა რჩევას არჩევით საგნებთან დაკავშირებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიხედვით არჩევითი საგნები ერთიანად არის მოცემული. შესაბამისად, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ნახოს 6 წლის მანძილზე რომელ არჩევით სასწავლო კურსებს სთავაზობს პროგრამა.

რაც შეეხება კლინიკური შეფასებების დანერგვას, აღნიშნული ასევე პროგრამაში არის გათვალისწინებული, ვიანიდან დღეს მსგავსი მეთოდების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე მედიცინის სწავლება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
მოწვეული საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააზუსტა, ხომ არ არის არსებითი სხვაობა ინტეგრაციის პრინციპებთან მიმართებაში და როგორ არის პროგრამაში სასწავლო კურსები და მოდულები ინტეგრირებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა უკვე წლებია გადის გარკვეულ ცვლილებებს, რაც დაიწყო გარკვეული კლინიკური საგნების ინტეგრაციით. დისციპლინაზე დაფუძნებული კურიკულუმი თანდათანობით მოდერნიზდება ინტეგრირებულ კურიკულუმად. წარმოდგენილ კურიკულუმში, რომლის განხორციელებაც მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო, სასწავლო კურსების თემატური ინტეგრაციის ხარისხი კიდევ უფრო მაღალია. ახლადწარმოდგენილ პროგრამაში საყურადღებოა „ჰორიზონტალური“ და „ვერტიკალური“ ინტეგრაციის გაღრმავება. დისციპლინების სწავლება ეტაპობრივად ჩანაცვლდება პრობლემების სწავლებით. მაგ. პროგრამაში წარმოდგენილია მოდულები: ჰომეოსტაზი: სტრუქტურიდან ფუნქციამდე, მეტაბოლიზმი, ორგანიზმი და ეკოსისტემა, გარემო და ჯანმრთელობა, უჯრედი და ქსოვილი, ადრეული ემბრიონული განვითარება, მეტაბოლიზმის მორფოლოგიური საფუძვლები, კლინიკური ნეირომეცნიერება, გადამდები დაავადებები, ონკოლოგია და სხვ. თითოეული მოდულის სწავლებაში რამდენიმე დეპარტამენტია ჩართული. მოდულის სილაბუსები სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, თეორიული და კლინიკური დეპარტამენტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. . მოდულის სილაბუსები სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში, თეორიული და კლინიკური დეპარტამენტების ერთობლივი მუშაობის შედეგია. მაგ. ფარმაკოლოგია, პრეკლინიკური სწავლების მოდულების გარდა, ინტეგრირებულია კლინიკური ნეირომეცნიერებისა და შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კურსში (პროგრამის მეოთხე და მეექვსე წელს), პათანატომია, პრეკლინიკური მოდულების გარდა, ინტეგრირებულია ონკოლოგიის მოდულში სწავლების მეექვსე წელს, ანატომია, ადამიანის სხეულის აგებულების კურსის გარდა, ინტეგრირებულია ქირურგიის მოდულში სწავლების მეექვსე წელს.კლინიკური სწავლება იწყება პროგრამის პირველივე სემესტრიდანვე.
მოწვეული საბჭოს წევრმა, დავით კობეშავიძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ქართულენოვანი პროგრამა უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია. პროგრამის ბიუჯეტი გათვლილია 2020-2021 წლებისთვის. პროგრამის ბიუჯეტის მდგრადობის გარანტია პირველ რიგში უნივერსიტეტის ბიუჯეტი. პროგრამა სავსებით მდგრადია რომ უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და აუცილებელი ბაზები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:10**
**დასრულების დრო: 16:20**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული **რჩევები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- პროგრამის სტრუქტურაში სემესტრის შესაბამისად შემოთავაზებული არჩევითი კურსების ჩამონათვალის დამატება; ეს სტუდენტებს დამატებით ინფორმაციას მიაწვდის;
- კურსებისა და პრაქტიკული პროგრამების სილაბუსების ფორმატირება გაუმჯობესდება, თუ სწავლის შედეგების რაოდენობა შემცირდება და პროგრამის მიზნებს მოერგება. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის რუკის შემუშავებას, რაც ასევე, საშუალებას იძლევა შეფასებები დაუკავშირდეს სწავლის შედეგებს და შესაბამისად, იყოს დაშიფრული. ეს საშუალებას იძლევა უფრო ადვილად გამოვლინდეს ხარვეზები ან მეტი აქცენტი გაკეთდეს შინაარსობრივი ცოდნის შეფასებებზე;
- სილაბუსები გაუმჯობესდება სასწავლო მასალებისა და რესურსების ჩასწორებით და ისეთ საგნებზე ხაზგასმით, რომლებიც აკადემიური პერსონალის მიხედვით ყველაზე ზუსტიდ შესაბამისია კონკრეტული კურსის ან პრაქტიკული პროგრამისთვის. ასევე, ამ წყაროებიდან მიღებული შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს შეფასებები;
- ყველა მოდული უნდა ასახავდეს შინაარსისა და შეფასების ინტეგრაციას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, დოკუმენტაციაში მოცემულია შესაბამისი კურსები მოდულების გარეთ. სასრუველია ყველა სილაბუსის განთავსება შესაბამის მოდულში;
- მიეთითოს კონკრეტულად რა იგულისხმება „შებრუნებულ საკლასო ოთახში“, როგორ ახორციელებს პროგრამა პრობლემაზე დაფუძნებულ (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL), ან სხვა არა-სალექციო სტრატეგიებს აუდიტორიაში;
    - თითოეული სილაბუსი გაუმჯობესდება, თუ მასში განსაზღვრული იქნება საათების რაოდენობა, რომელსაც სტუდენტები უთმობენ სწავლება-სწავლის კონკრეტულ სესიას, ანუ უნდა დაკონკრეტდეს ლექციების, პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) დაშემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების (CBL), კლინიკური უნარების ტრენინგის საათების რაოდენობა. ამის გაკეთება აკადემიურ პერსონალსა და ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს, განსაზღვრონ მიზნები სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო სტრატეგიების გაზრდისთვის;
    - პრაქტიკული მეცადინეობის სილაბუსებს უნდა დაემატოს კონკრეტული ინფორმაცია იმ ობიექტების შესახებ, სადაც სტუდენტები ისწავლიან: ეს არის ამბულატორიული ან სტაციონარული გარემო; როგორია სავარაუდო დრო (40-50 საათი კვირაში; გამოძახება/ღამის ცვლა);
    - პრაქტიკული მეცადინეობის სილაბუსებში მიეთითოს მდგომარეობები (მაგალითად, ბაქტერიული პნევმონიის შემთხვევა, ნაწლავის მწვავე ობსტრუქცია), რომელთა ნახვა და შეფასება უნდა მოხდეს კონკრეტული როტაციის დროს; საქმისწარმოების სისტემაში გაკეთდეს აღნიშნვა, რომლის საშუალებითაც პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელს/ინტრუქტორს შეეძლება მოახდინოს შემოწმება და სტუდენტსთვის ალტერნატიული სასწავლო გამოცდილების შეთავაზება, იმ შეთხვევებისთვის, რომლებიც არ ჩანს/არ არის შეფასებული. შემთხვევები ან პირობები უნდა წარმოადგენდეს ყველაზე გავრცელებულს ქვეყანაში, რომელთაც შეუძლიათ კრიტიკული მდგომარეობის შექმნა;
    - პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში განისაზღვროს და მიეთითოს „ინტერაქტიული ლექციების“ კონკრეტული მაგალითები;
    - თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პრეკლინიკური სწავლების წლებში ფიქსირდება უფრო მაღალი გადინება. იქვე აღნიშნულია, რომ ეს ხდება ზოგიერთი სტუდენტის გამო, რომელმაც შესაძლოა გააცნობიერეს, რომ არ შეეფერება ამ პროფესიას. ამის მიზეზი შეიძლება, ასევე, ის იყოს, რომ ამ პერიოდის სწავლების მეთოდები არც ისე სრულად არის სტუდენტზე ორიენტირებული, ვიდრე შეიძლება ყოფილიყო. სხვა პროგრამებში დადგინდა, რომ პრეკლინიკური ფაზის უფრო აქტიურ/ჩართულ სწავლებად 20 გარდაქმნის გზით მცირდება სტუდენტთა გადინება. დაწესებულებას ვურჩევთ, იპოვოს აქტიური სწავლის გაზრდისა და ლექციების დროის შემცირების გზები;

- იმის ნაცვლად, რომ აკადემიურმა პერსონალმა გამოცდისთვის ყოველწლიურად შექმნას ახალი კითხვები, გირჩევთ, რომ დაწესებულებამ საგამოცდო კითხვები საიდუმლოდ დაიცვას. შემაჯამებელი გამოცდები არ ითვალისწინებს უკუკავშირს ან საგანმანათლებლო მიზნებს, არამედ განკუთვნილია აუდიტისა და შეფასებისთვის;
- გირჩევთ ინდივიდუალური შეფასების სიხშირის შემცირებას კლინიკურ საგნებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 14.12.2011 გადაწყვეტილება N 457 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | | - |

| | | |
|---|---|---|
| | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 -მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | თსსუ, ვაჟა-ფშაველას გამზირი 33, 0177 (0186), თბილისი, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი
თვითაცილება განაცხადეს - გაიანე სიმონიამ, ხათუნა თოდაძემ, ლევან რატიანმა, ივანე ჩხაიძემ, გივი ჯავაშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 2021 წლის 20, 21, 22 აპრილს. ჯგუფის ოთხი წევრი იმყოფებოდა ქვეყნის ფარგლებში, ერთი კი (თავმჯდომარე) მონაწილეობდა ვირტუალურად. სამი დღის განმავლობაში მოხდა თსსუ-ს ორი სამედიცინო სკოლის მიმოხილვა და დაწესებულებაში ვიზიტის განახორციელება ერთი და იმავე ჯგუფის მიერ. ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც მართავს ამ ორ სკოლას, ასევე პროფესორ-მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებთან, რომლებსაც "იზიარებენ" ეს სკოლები. გამოიკითხა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა, რომელიც ზედამხედველობს ორ სამედიცინო სკოლას, რასაც მოჰყვა ინტერვიუები თითოეული სკოლის შესაბამის თვითშეფასების გუნდებთან. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისთვის ეს მოიცავდა წარმომადგენლებს ემორის უნივერსიტეტიდან. პირველ დღეს, ასევე, ჩატარდა გასაუბრები პროგრამის ორივე ხელმძღვანელთან ცალცალკე. თბილისში მყოფ ჯგუფის ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მისულიყვნენ დაწესებულებებში, რომლებიც

სკოლებს ემსახურებიან. ყურადღება გამახვილდა შეხვედრებზე, რომლებიც ჩატარდა დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამისა და ქართული პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთანდა დამსაქმებლების წარმომადგენლებთან.
მნიშვნელოვანია, რომ პროგრამას მრავალი გამორჩეული მახასიათებელი აქვს, რომელიც საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს: სტუდენტთა პროგრესის შეფასების ძლიერი სისტემა მონიტორინგითა და სწავლების ხარისხის შესახებ მათი უკუკავშირის გამოყენებით; პროფესიონალური სასწავლო გეგმა განათლების მთელი 6 წლის განმავლობაში. აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სტუდენტისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ კლინიკური განათლების გამოცდილება მიიღონ აშშ-ში, ემორის უნივერსიტეტის მეშვეობით.
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევები დაწესებულებისთვის სრულიად მისაღებია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
მოწვეულ საბჭოს წევრმა, დავით კობეშავიძემ დააზუსტა თუ რით განსხვავდება აღნიშნული პროგრამა ინგლისურენოვანი პროგრამისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან. პროგრამის შემუშავება რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართული და ამერიკული მხარეების ინტენსიური მუშაობის ფონზე. პროგრამის აკრედიტება მოხდა 2011 წელს მოცემული პროგრამის განსხვავებული პრინციპით არის აგებული. კომპეტენციები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია იგივეა, თუმცა სწავლების მეთოდები და გზები არის განსხვავებული. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც პროგრამას ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია, რაც შეიძლება ჩაითვალოს მოცემული პროგრამის წარმატების ერთ-ერთ საიდუმლოდ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:40**
**დასრულების დრო: 16:50**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული **რჩევები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება მიიჩნევს, რომ USMLE მნიშვნელოვანია მისი კურსდამთავრებულებისთვის, დაემატოს შუალედური შეფასებები (NBME's CBSE, CCSE), სტუდენტების პროგრესის შესახებ, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირისთვის, რაც იზომება USMLE-ის მუშაობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებით;
- რამდენადაც პროგრამა უკვე იყენებს „შებრუნებული საკლასო ოთახის“ სტრატეგიებს, ფაკულტეტის სამომავლო განვითარება შეიძლება მიმართული იყოს იმაზე, თუ როგორ გაიზარდოს მაქსიმალურად „კლასსგარეთ“ (out of class) ფაქტების სწავლის სარგებლიანობა, ამ ფაქტების მოსალოდნელი „შემთხვევითობის“ გამოყენებით კლინიკური პრობლემების გადასაჭერელად. ამგვარი მიდგომა საჭიროს გახდის შეფასების ტრანსფორმაციას, რამდენადაც იგი მოითხოვს „ცოდნის გამოყენების“ შეფასებას და არა მხოლოდ იმის, რომ სტუდენტმა გაიხსენოს რა იცის. დროთა განმავლობაში, ეს სტუდენტებს უბიძგებს დასვან კითხვები თუ „რატომ“ და „როგორ გაიმოყენებენ ამ ინფორმაციას“;
- ყველა კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია მათი უფრო აქტიურ ზმნაში პერიფრაზირებით. ეს მათ უფრო მარტივად შესაფასებელს გახდის, ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებით. თითოეული კურსის/პრაქტიკუმის სწავლის შედეგები შესაძლოა დაფორმატდეს ისე, რომ ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებაზე;
- სილაბუსში შესაძლოა წერილობით იყოს ასახული (სასარგებლო იქნება სტუდენტებისა და ფაკულტეტისთვის), თუ როგორ გროვდება სტუდენტებისა და ფაკულტეტის უკუკავშირი თითეულ კურსზე/პრაქტიკუმზე და ამ წყაროებიდან მიღებული მასალა როგორ განიხილება პროგრამის მიერ, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. თუკი ამის განახლება ყოველწლიურად ხდება, მაშინ ახალი სტუდენტები შეძლებენ ნახონ თუ როგორ შეიცვალა იმ კურსის სილაბუსი, რომელიც უნდა გაიარონ, სტუდენტთა უკუკავშირის შედეგად. აღნიშნული, ასევე, დაეხმარება პროფესურას რომ რელევანტური სილაბუსები ჰქონდეთ;
- დეტალურად იქნეს მითითებული სწავლებისა და სწავლის თითოეული სტრატეგიის საათების რაოდენობა (საკლასო ოთახში), როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო საქმიანობის წილი სუკეთესად კონტროლის საშუალება;
- კლინიკურ ფაზაში ობიექტური შეფასებების გამოყენება, მათ შორის იმ შემთხვევის რაოდენობისა და ტიპების დეტალიზაცია, რომლებიც უნდა შეაფასონ სტუდენტებმა.
- ზოგიერთ კურსში გამოიყენება "ზეპირი" გამოცდები, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შეფასების წილი არ არის მაღალი, ასეთ შეფასებებში არსებობს ობიექტურობასთან დაკავშირებული ეჭვი. უმჯობესია, რომ პროგრამის შეფასების სპეციალისტმა უზრუნველყოს გამოცდების ჩატარება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული არაობიექტურობა, ინტერესთა კონფლიქტი ან რაიმე სუბიექტური შთაბეჭდილებები;
- სტუდენტების შეფასების გასაუმჯობესებლად განხორციელდეს სტუდენტების შეფასება EPA–ს შესაბამისად, ხოლო დადებითი უკუკავშირის შემთხვევაში, ფართოდ იქნეს გამოყენებული ეს მეთოდი პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 26
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული 11 კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**16:55 სთ-ზე სხდომა დატოვა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.**
**16:57 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა მარიამ შენგელია. შესაბამისად აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის მე - 4 პუნქტიდან გამომდინარე მან გააგრძელა საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრ ულება.**

**მეხუთე საკითხი:** შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ერთსაფეხურიანი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | დიპლომირებული მედიკოსი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0912 -მედიცინა |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 360 |
| 14 | განხორციელების ადგილი | სარაჯიშვილის ქ. N 17თბილისი, 0189, საქართველო |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

თვითაცილება განაცხადეს - მაკა კაჭარავამ, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, ზაზა ავალიანმა და შორენა წიკლაურმა.

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**17:28 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ნინო ინასარიძე.**

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტი/დაწესებულებაში ვიზიტი 2021 წლის 29-30 მარტს განხორციელდა. დაწესებულებაში ვიზიტი კარგად ორგანიზებული და შესრულებული იყო. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ინტერვიუები ჩაატარეს შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, პრაქტიკის პედაგოგები/ხელმძღვანელები, დამსაქმებლის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (ასოცირებული პროგრამების) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ჯგუფის ყველა წევრი მრავალ კითხვას სვამდა. ინტერვიუებისას პასუხები ძირითადად ნათელი და დამაკმაყოფილებელიიყო. 30 მარტს განხორციელდა პირდაპირი ვიდეო ჩართვა საავადმყოფოებიდან/კლინიკური პრაქტიკის ცენტრებიდან. ევროპის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ ადგილობრივი ექსპერტები. განხორციელდა ვიზიტები უნივერსიტეტის შენობაში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში. ევროპის უნივერსიტეტისა და კლინიკების/საავადმყოფოების ინფრასტრუქტურა შესანიშნავია. დაწესებულებაში ვიზიტის ბოლოს, ჯგუფის თავმჯდომარემ, მარგუს ვიიგიმაამ ჩაატარა პირველადი დასკვნების პრეზენტაცია.
შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
**პირველი სტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
**მეორე სტანდარტი** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამამ (რამდენადაც ის ერთ-ერთია საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებიდან) ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების განვითარებას.

2. გთხოვთ, გააკეთოთ შემდეგი შესწორება: თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულ სტუდენტებს მოეთხოვებათ ქართული ენის კომპეტენცია B2 დონეზე, მაგრამ პროგრამის აღწერის მიხედვით, საჭიროა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.

3. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები შეცდომაში არ შეიყვანს ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს.

4.დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სწავლებაში ჩართულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს ესმით პროგრამის ყველა დეტალი, განსაკუთრებით სწავლის შედეგები და კომპეტენციები.

5. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღებამდე,არსებობს ყველა სასწავლო მასალა, მათ შორის, თითოეული კურსის „ჰენდაუთები“.

6. დაწესებულებამ განავითაროს კვლევითი-სამეცნიერო უნარები სტუდენტებში, რაც ხელს შეუწყობს კვლევით საქმიანობას და სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის აქტიურ განვითარებას.

7. სილაბუსებში მოხდესსტუდენტების პრაქტიკული სამუშაოს დეტალების ფორმალიზება (მაგალითად, რა დრო უნდა გაატარონ მათ პაციენტების პალატებში, რამდენი და როგორი პაციენტები უნდა მიიღონ ან გამოიკვლიონ კურსის განმავლობაში).

8. ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი პრაქტიკული ჩართულობა, მათ შორის პაციენტთან ურთიერთობა, რათა უნივერსიტეტის დამთავრებისას მიღწეულ იქნეს მიზანი.

9. სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასებაუზრუნველყოფილ იქნესსიმულაციური ცენტრის გარდა, კლინიკურ გარემოშიც.

10. უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების კვლევითი უნარების სათანადო შეფასება.

11. მომზადდეს ძლიერი ბაზა OSCE-ს და OSPE-ს გამოცდებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამაში დაგეგმილი დიდი რაოდენობის პრაქტიკული გამოცდების ჩატარება.

12. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებმა რეგულარულად მიიღონ უკუკავშირი აკადემიური მოსწრების შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

**18:00 სთ-ზე სხდომა დატოვა ნათია ზედგინიძე ჯიშკარიანმა.**

**აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა ნინო იმნაძე.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა თავისი მიზნებითა და შინაარსით

მთლიანად ემსახურება იმას, რომ მოამზადოს ისეთი კურსდამთავრებული, რომელიც აუცილებლად შეიტანს წვლილს საზოგადოების განვითარებაში, თუმცა დაწესებულება გამოხატავს მზაობას რომ გაიზიაროს მოცემული რეკომენდაცია.
მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც დაშვებულია პროგრამის აღწერილობის თარგმნისას. პროგრამის აღწერილობის ქართულენოვან ვერსიასა და საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან ვერსიებში მითითებულია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავალდებულოა ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. მხოლოდ, პროგრამის აღწერილობის ინგლისურენოვან ვერსიაშია ნახსენები ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც წარმოადგენს თარგმნის შეცდომას. ამასთან, აღნიშნული პროგრამის თარგმნა განხორციელდა მხოლოდ აკრედიტაციის მიზნებისთვის და არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.
რაც შეეხება ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და ვებ - გვერდზე აბიტურიენტებისთვის ცალკე არის მითითებული პროგრამის სტატუსი, ის რომ მიმდინარეობს წარმოება.
მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარია კლინიკური სასწავლო კურსების სასწავლო მასალაზე. ვიზიტის დროს აღნიშნული სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სამი ,,ჰენდაუთიდან“ ორი ხელმისაწვდომი იყო როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, ხოლო, მესამე -ელექტრონული სახით. ამჟამად, აღნიშნულიც დაბეჭდვის პროცესშია. შესაბამისად, ვიზიტისს დროს, კლინიკური სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული ყველა ,,ჰენდაუთი“ იყო ხელმისაწვდომი როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ან მხოლოდ ელექტრონული სახით.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, კლინიკური სასწავლო კურსები რა თქმა უნდა ისწავლება კლინიკებში, შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ პაციენტებთან აქტიური ურთიერთობის შესაძლებლობა. რაც შეეხება შეფასებებს, შუალედური და დასკვნითი გამოცდები მოცემულ სასწავლო კურსებში OSCE-ის სახით არის წარმოდგენილი. თუმცა მოცემულ სასწავლო კურსებში გარდა შუალედური შეფასებისა ფასდება ასევე მიმდინარე აქტვობები, რაც მოიაზრებს კლინიკაში სტუდენტის საქმიანობას და პაციენტთან კომუნიკაციას.
მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ესე მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს, ისეთი ტიპის დავალებას, რაც სტუდენტის მხრიდან მოითხოვს ლიტერატურის მიმოხილვასა და შეფასებას, წყაროების მითითებას, ციტირება რეფერირების სტილის დაცვას და სტუდენტების მხრიდან არგუმენტირებული დასკვნების წარმოდგენას. შესაბამისად, დაწესებულება თვლის, რომ ამ ტიპის დავალება იძლევა კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას.
რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, 2018 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე დაფუძნდა სიმულაციური ცენტრი, რომლის მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისათვის დარგობრივი პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ცენტრში უკვე დაინერგა და ხორციელდება არა მხოლოდ სწავლება, არამედ სტუდენტების შეძენილი პრაქტიკული/კლინიკური უნარების შეფასება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის OSCE გზით და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) გზით. უნივერსიტეტში 2019 წლის გაზაფხულზე დამონტაჟდა და ამოქმედდა ვირტუალური ლაბორატორია, რომლის მიზანია სწავლების ინტერაქტიული მეთოდით სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესება. დაწესებულებას აქვს 12 OSCE-ს სადგური, რაც სრულიად უზრუნველყოფს პროგრამაზე არსებული სტუდენტების მომსახურებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. მედიცინის ფაკულტეტის პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ როგორც ევროპის უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტებისა და

ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში ხდება სტუდენტებისათვის ტრენინგების შეთავაზება, როგორიცაა მაგ: „პლაგიატის აღმოჩენა“, „როგორ გავაკეთოთ სამეცნიერო მოხსენება“. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომი დაბეჭდონ სამეცნიერო სტუდენტურ ჟურნალში „Biomedical and Core Clinical Research Practice“, რომელიც ევროპის უნივერსიტეტში 2019 წელს დაარსდა. 2020 წელს გამოიცა აღნიშნული ჟურნალის 2 ნომერი. ჟურნალის მთავარი და ასოცირებული რედაქტორები არიან დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. ჟურნალის საპატიო რედაქტორია პროფესორი ბრუნ ჟან-ფრედერიკი (საფრანგეთი). დამოუკიდებელი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება წინასწარ შედგენილი ცხრილის მიხედვით აირჩიონ სასურველი დრო და ისარგებლონ ვირტუალური ლაბორატორიითა და სიმულაციური ოთახით (სტუდენტებს ინფორმაცია ელ. რეგისტრაციის თაობაზე მიეწოდებათ ელ. ფოსტის საშუალებით, ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე).

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
მოწვეული საბჭოს წევრმა, დავით კობეშავიძემ დააზუსტა არის თუ არა გათვალისწინებული პროგრამაში კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები.
მოწვეული საბჭოს წევრმა, თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ 2.2. კომპონენტთან დაკავშირებით დასკვნაში რეკომენდაცია არ არის მოცემული, თუმცა კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, თუ რა დონის ინტეგრაციას გულისხმობს პროგრამა.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დააზუსტა თუ რამდენად ექცევა ყურადღება ინსტიტუციაში პროფესიული კადრის მომზადებას.
მოწვეული საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა თუ რა ცვლილებები იქნა შეტანილი პროგრამაში გარე შეფასების დოკუმენტის გაცნობის შემდეგომ.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
ექსპერტმა განმარტა, რომ მოდულის შიგნით სხვადასხვა კურსის შინაარსები ერთმანეთს არ მიჰყვება, მიუხედავად იმისა, რომ მოდულს აქვს ერთი სახელწოდება. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს მედიცინის დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს. ჰორიზონტალური ინტეგრაცია განხორციელდა ერთი და იგივე დონის კურსების კომბინირებით. ამავდროულად, შეიმჩნევა სპირალური სასწავლო გეგმის ზოგიერთი ელემენტი (მაგალითად, რადიოლოგია ისწავლება როგორც ძირითადი მეცნიერებების ნაწილი, და მოგვიანებით კლინიკურ კურსებთან ერთად). კურსების სახელები კარგად ჟღერს, მაგრამ შინაარსის ინტეგრირება არ არის სათანადო (მაგალითად, ერთსა და იმავე კვირის განმავლობაში ისწავლება სისხლის უჯრედების ჰისტოლოგია და თირკმლის მეტაბოლიზმის სამედიცინო ქიმია). ეს უფრო მეტად კურსების მექანიკურ გაერთიანებას ჰგავს, ვიდრე ინტეგრაციას.

**18:14 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.**

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**
პერსონალის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში ფუნქცონირებს ორი ცენტრი, სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და სამეცნიერო კვლევითი საქმინობის ხელშეწყობის ცენტრი, რომლებიც სრულიად არის ორიენტირებული პერსონალის

პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიც (კვლევითი პროექტების ხელმძღვანელობა, სტუდენტურ კონფერენციაზე წარსადგენი თემის ხელმძღვანელობა, საკონკურსოდ წარდგენილი სტუდენტური ესეების / აბსტრაქტების / ნაშრომების განხილვა და შეფასება და სხვა საქმიანობები). აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სათანადოდ აფასებს აღნიშნულ ექსტრაკურიკულურ საქმიანობაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობას და აჯილდოვებს მათ (მაგ. მადლობის სიგელები).

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში მედიცინის ფაკულტეტზე გამოყოფილია 79 934 ლარი. თანხა ითვალისწინებს როგორც აფილირებული აკადემიური 63 პერსონალის ანაზღაურების ხარჯებს, ასევე, პროგრამის ფარგლებში პერსონალის მიერ ინიცირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები (დაფინანსების საკითხი რეგულირდება ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ შესაბამისად, დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №90 ბრძანებით). ბიუჯეტით ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გათვალისწინებული თანხა შესაძლებელია გაიზარდოს უნივერსიტეტის სტრატეგიისა და კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით. მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯებს 19 720 ლარის ოდენობით (იხ. 2021 წლის მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი).

რაც შეეხება გარე შეფასებასა და მის საფუძვეზე განხორციელებული ცვლილებების საკითხს, აღსანიშნავია, რომ დაკორექტირდა პროგრამის ტექსტი, აღწერითი ნაწილი, კერძოდ, ჩაემატა მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროგრამის აქტუალობისა და მნიშვნელობის, ასევე, პროგრამის შემუშავების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების შესახებ. დაკორექტირდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება. გარდა ამისა, რეკომენდაციის საფუძველზე სასწავლო კურსი „ალერგოლოგია არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილ იქნა სავალდებულო სასწავლო კურსების 74 ჩამონათვალში და დაემატა მოდულს „შინაგანი მედიცინა III“ (რევმატოლოგია, კლინიკური იმუნოლოგია, დერმატოლოგია) შესაბამისი მოცულობის კრედიტით. სასწავლო კურსში „ქირურგია III“ სახელწოდება სტომატოლოგია შეიცვალა ყბასახის ქირუგიით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში გაიზარდა ონკოლოგიისა და კარდიოლოგიის კრედიტების მოცულობა 3 კრედიტიდან 4 კრედიტამდე. ასევე გათვალისწინებულია რეკომენდაცია რეაბილიტაციის კურსთან დაკავშირებით, რეაბილიტაციის სასწავლო კურსი თემატიკის მიხედვით ინტეგრირდა ნევროლოგიაში, ონკოლოიგიაში, ტრავმატოლოგიაში. პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათალს დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „მედიცინის ისტორია“ და დაკორექტირდა პროგრამის I და II ფაზების აღწერა.

პანდემიიდან გამომდინარე, გაიზარდა საკონტაქტო საათები და კოვიდი როგორც სასწავლო თემა განისაზღვრა სასწავლო კურსებში.

მოწვეული საბჭოს წევრმა, ბიძინა კულუმბეგოვმა დააზუსტა ითვალისწინებს თუ არა ევროპის უნივერსიტეტი სტუდენტთა წახალისებას, სტიპენდიის სახით. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა თუ რატომ არ არიან კურსდამთავრებულები უფრო მეტი პრაქტიკული უნარებით აღჭურვილები. საბჭოს წევრმა დააზუსტა ასევე კლინიკუირ ბაზებისა და ჯგუფების რაოდენობის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში წარმატებული სტუდენტები მუდმივად იღებენ წახალისებას სტიპენდიის სახით. გარდა ამისა, სტუდენტები მუდმივად იღებენ მხარდაჭერას სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას.

რაც შეეხება კლინიკებს, დაწესებულებას 50-მდე კლინიკასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი და იმ შემთხვევში თუ პრაქტიკის განხორციელება კლინიკაში ხდება სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 11.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 18:30**
**დასრულების დრო: 18:40**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.1 ქვეკომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, შესაბამისად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან". ასევე, მე-2 სტანდარტში გაცემული რეკომენდაციების ნაწილი ამოღებულ იქნა საბჭოს მიერ, რიგ რეკომენდაციებისა და რჩევებს კი შეეცვალა ფორმულირება, თუმცა შედეგად არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

**რეკომენდაციები:**

1. უზრუნველყავით, რომ ყველა ინტეგრირებული კურსი შეესაბამებოდეს ლოგიკური კონსტრუქციისა და სათანადო ინტეგრაციის კონცეფციას;
2. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სწავლებაში ჩართულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს ესმით პროგრამის ყველა დეტალი, განსაკუთრებით სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
3. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღებამდე, არსებობს ყველა სავალდებულო სასწავლო მასალა;
4. დაწესებულებამ განავითაროს კვლევითი-სამეცნიერო უნარები სტუდენტებში, რაც ხელს შეუწყობს კვლევით საქმიანობას და სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის აქტიურ განვითარებას;
5. უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების კვლევითი უნარების სათანადო შეფასება;
6. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებმა რეგულარულად მიიღონ უკუკავშირი აკადემიური მოსწრების შესახებ.

**რჩევები:**

- ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამამ (რამდენადაც ის ერთერთია საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებიდან) ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების განვითარებას;
- სასურველია დაწესებულებამ ახალი პროგრამის ინიცირების შეასახებ ინფორმაცია განათავსოს ვებ-გვერდზე შესაბამისი სტატუსით;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტების გადმოყვანის მოთხოვნები ერთგვაროვნად იყოს აღწერილ ყველა შესაბამის დოკუმენტში;
- დაწესებულებამ უფრო მეტად ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები პროგრამების ანალიზში;
- დაწესებულებამ ჩართოს კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები შრომის ბაზრის ანალიზში;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული მოთხოვნა გაანალიზდეს გაზომვად და სანდო მონაცემებზე დაყრდნობით;
- დაწესებულებამ ჩართოს სტუდენტები თვითშეფასების პროცესში;

- ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი პრაქტიკული ჩართულობა, მათ შორის პაციენტთან ურთიერთობა, რათა უნივერსიტეტის დამთავრებისას მიღწეულ იქნეს მიზანი;
- დაწესებულებამ დააორგანიზოს სასწავლო პროცესი ისე, რომ კოვიდ პანდემიის შეზღუდვებმა გავლენა არ მოახდინოს სხვადასხვა სწავლის მეთოდის ხელმისაწვდომობაზე და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევაზე;
- სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება უზრუნველყოფილ იქნეს სიმულაციური ცენტრის გარდა, კლინიკურ გარემოშიც;
- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში შემუშავდეს სტუდენტების შერჩევის საუკეთესო მეთოდები, რათა თავიდან იქნას აცილებული წინასწარი შერჩევა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრში გააქტიურდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ თანამშრომელთა კითხვარში არ იყოს დამაბნეველი შეკითხვები;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდგომი კვლევითი საქმიანობა, მაღალი დონის პუბლიკაციებისა და ციტირების სიმრავლე აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზეშპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-$3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ევროპის უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

,,დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ სხდომა დატოვეს აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიები |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 13.03.2020<br>გადაწყვეტილება N34 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმატიკის ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 11 | განხორციელების ადგილი | საქართველო, 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. N68, უნივერსიტეტის მე-2 სასწავლოკორპუსი |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული და გაზიარებული.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო შესასრულებელი რეკომენდაციები:**
1.საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სავალდებულოდ ასარჩევი პრაქტიკა (კლინიკური სწავლების ან სიმულაციების დანერგვის გზით);

2. კურიკულუმი და საგნების წინაპირობები გადაიხედოს ისე, რომ პროგრამის შინაარსი განვითარდეს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე;
3. გადაიხედოს ცალკეული სილაბუსები, გახდეს სფეროზე ორიენტირებული და მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან;
4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გაძლიერდეს პრაქტიკული მაგალითების განხილვები, რომელიც დაკავშირებული იქნება სფეროში მიმდინარე თანამედროვე შემთხვევებზე;
5. საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს საგნები კიბერუსაფრთხოების მიმართულებით.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი გასწვრივ მოცემულია მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება. მაშინ როცა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ინფორმატიკის ბაკალავრი, არსებული მდგომარეობით ინფორმატიკა შედის 0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზის, Software and Applications Development and Analysis, დეტალურ სფეროში. შესაბამისად რჩევის სახით მიეწოდება დაწესებულებას, რომ თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის შევსებასთან დაკავშირებით მეტად იყოს ორიენტირებული ინფორმაციის სწორ ასახვაზე, რათა არ იყოს შეცდომაში ინფორმაციის შეყვანა ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციასთან დაკავშირებით როგორიც არის მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ISCED-ის მიხედვით. ვინაიდან თვითონ პროგრამის კვალიფიკაცია არის გაუქმებული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით მინიჭებული (ინფორმატიკის ბაკალავრი - 0104) ამ შემთხვევაში დაწესებულება მხოლოდ ISCED-თან შესაბამისობას ასახავდა და არა თავად პროგრამის კვალიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე გაცემული იქნა რჩევის ფარგლებში ინფორმაციის სიზუსტის დაცვა.

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტის მოსაზრებას კვალიფიკაციის კოდთან დაკავშირებით, თუმცა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ახალი კოდი მითითბული არ არის, რაც გასაგებია რადგან 2022 წლის 30 სექტემრიბდან - ნოემბრამდე დაწსებულებამ უნდა მოიყვანოს შესაბამისობაში პროგრამის კოდი მოქმედ საკვალფიკაციო ჩარჩოსთან. სწავლის სფერო, რომელიც განსაზღვრული იყო ძველი კლასიფიკატორით, არის ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხოლო კვალიფიკაცია ბაკალავრი. შესაბამისად, ინფორმატიკის ბაკალვრის მითითების შემთხვევაში აცდენა იქნებოდა სახელმწოდებაში. აღსანიშნავა, რომ დარგობრივი დოკუმენტის ამჟამინდელ ვერსიაში ინფორმატიკა არ არის გათვალისწინებული როგორც ცალკე სფერო. ამჟამად პროგრამის მისანიჭებელი კვალიფკაცია არის ის, რაც იქნა მიღებული აკრედიტაცის საბჭოს მიერ.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 19:05**
**დასრულების დრო: 19:10**

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:**
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ მუხლის მე - 2 პუნქტისა და $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:15 სთ-ზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა